ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი 15 სექტემბერი, 2010წ.

ერთის მხრივ, შპს „კასტვლი-საქართველო“ (შემდგომში „მოიჯარე“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ბახტიარ ბაირამოვის სახით და მეორეს მხრივ, შპს «დი ჯი ელ» (შემდგომში „მეიჯარე“) დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს "მეიჯარის" საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნაწილის (შემდგომში "იჯარის საგანი") "მოიჯარისათვის" დროებითი სარგებლობის უფლებით გადაცემა.

1.2 იჯარის საგანია არასაცხოვრებელი ფართი 12 კვ.მ–ის ოდენობით, მდებარე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია.

2. ხელშეკრულების პირობები

2.1 საიჯარო ქირის ოდენობა შეადგენს თვეში 550 (ხუთას ორმოცდაათი) ლარს. გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად, უნაღდო ან ნაღდი ანგარიშსწორების წესით.

2.2 « მოიჯარე » იღებს ვალდებულებას თავად გადაიხადოს კომუნალურ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.3 "მოიჯარე" თავად დააფინანსებს იჯარის საგანზე ჩასატარებელ სარემონტო სამუშაოებს, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს 1 500 (ათას ხუთასი) ლარს.

2.4 "მოიჯარე" უფლებამოსილია ქვეიჯარით გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული იჯარის საგანი.

3. მხარეთა პასუხისმგებლობა

3.1 მეიჯარე პასუხისმგებელია იჯარის საგანთან დაკავშირებით მესამე პირების მიერ "მოიჯარის" მიმართ რაიმე უფლების თაობაზე პრეტენზიის წარდგენის შემთხვევაში.

3.2 იჯარის საგნის გასხვისებისას, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები გადადის ახალ მესაკუთრეზე.

3.3 იმ შემთხვევაში, თუ მეიჯარე ვადაზე ადრე შეწყვეტს ხელშეკრულებას, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს „მოიჯარეს“ იჯარის საგანზე ჩატარებული სარემონტო სამუშაოების სრული ღირებულება.

4. დამატებითი დებულებები

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 3 (სამი) წლის ვადით.

4.2 ხელშეკრულების მოქმედების ყოველი მომდევნო წლის დასაწყისში, ვალუტის კურსის ცვლილების შემთხვევაში მხარეთა მიერ მოხდება საიჯარო ქირის ოდენობის გადახედვა იმგვარად, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში საიჯარო ქირის ოდენობამ არ შეადგინოს 300 (სამასი) აშშ დოლარის ექვივალენტ ლარზე ნაკლები.

4.3 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

4.4 წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, მხარეთა მიერ განხორციელებული ნებისმიერ ოპერაციაზე ფორმდება შესაბამისი აქტი.

4.5 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მეორე მხარეს უნდა გაეგზავნოს წერილობით, ხელშეკრულების შეწყვეტამდე სამი თვით ადრე.

4.6 მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა სადავო საკითხი გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საქმე განსახილველად გადაეცემა საქართველოს შესაბამის სასამართლოს.

4.7 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად თითოეული მხარისათვის.

მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები:

«მოიჯარე»

შპს „კასტელი-საქართველო“
მის: თბილისი 0151, კახეთის გზატკეცილი, ლილოს ლუდის ქარხანა
ს.კ. 201948768
ბანკი: სს “კორ სტანდარტ ბანკი”
ბანკის კოდი: 220101945
ა/ა: 458447
გენერალური დირექტორი:

ბახტიარ ბაირამოვი

«მეიჯარე»

შპს «დი ჯი ელ»

მის : ----------
ს/კ: 211360631
ბანკი : ----------
ბანკის კოდი : ----------
ა/ა № : ----------

დირექტორი :

დავით ბეჭვაძე

თანხმობა

ქ. თბილისი -------- თებერვალი, 2012წ.

შპს "დი ჯი ელ" *(ს/კ 211360631; იურ. მის: ქ. თბილისი, ამბროლაურის ქ. №166, კორპ. 9; ბ. №22)* როგორც არასაცხოვრებელი ფართის "მესაკუთრე" *(უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №: 01.10.15.007.033; განცხადების რეგისტრაციის № 882011108613; ამონაწერის მომზადების თარიღი 21.03.2011წ; მისამართი: ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია)* წარმოდგენილი მისი დირექტორის ლაშა ბუცხრიკიძის სახით *(დაბ. 15.02.1975წ; პირადი №: 01024013640; პ/მ №: გ 0985154; მცხ. ქ. თბილისი, ამბროლაურის ქ. №166; კორპ. 9; ბ. 23)*, აცხადებს თანხმობას შემდეგზე:

შპს "კასტელი-საქართველო" *(ს/კ: 201948768; იურ. მის: ქ. თბილისი, 0151, კახეთის გ'ზატკეცილი, ლილოს ლუდის ქარხანა)*, როგორც არასაცხოვრებელი ფართის "მოიჯარე" უფლებამოსილია, ჩვენს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების თანახმად მის მიერ იჯარით აღებულ არასაცხოვრებელი ფართის *(უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №: 01.10.15.007.033; განცხადების რეგისტრაციის № 882011108613; ამონაწერის მომზადების თარიღი 21.03.2011წ; მისამართი: ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია)* გარე ფასადზე განათავსოს სარეკლამო აბრები და წარწერები.

მესაკუთრე შპს "დი ჯი ელ"-ის დირექტორი:

ლაშა ბუცხრიკიძე ----------

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N120151304
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	21.02.2012 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ანჟელა მანია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	5 (93) 677685; +995 (32) 2479191 ელ.ფოსტა amania@notary.ge
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	35587292467112

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას თორმეტი წლის ოცდაერთ თებერვალს მე, ანჟელა მანიას, ნოტარიუსს, ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია, მომმართა *ლაშა გუცხრიკიძემ,* მან წარმომიდგინა თანხმობა ქართულ ენაზე – ერთ ეგზემპლარად და განაცხადა, რომ სურს წარმოდგენილ თანხმობაზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად *ლაშა გუცხრიკიძემ* (დაბ. 15.02.1975წ. თბილისში, პ/№ 01024013640, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166, კორპ. 9, ბინა 23) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე ასევე შევამოწმე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე ნოტარიუსმა ანჟელა მანიამ, განვუმარტე რომ პასუხს არ ვაგებ განცხადების სამართლებლივ შედეგებზე. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე თანხმობაზე, რასაც ვამოწმებ. **თანხმობა** წარმოდგენილია ერთ ეგზემპლარად.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" (29.12.2011წელი, დადგენილება № 507) ერთი ეგზემპლარისათვის 2 (ორი) ლარი – მუხლი 31, დღგ 0.36 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის – მუხლი 39, თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" (29.12.2011წელი, დადგენილება № 507).

ნოტარიუსი *ანჟელა მანია*